



სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

სულდის საჯარო სკოლის მშენებლობა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით

პროექტი: ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი (საქართველო I2Q)

თბილისი, საქართველო
2025 წ. მარტი

ქვეპროექტის აღწერა

საჯარო სკოლის მშენებლობა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ სულდაში, ინკლუზიურობის, ინოვაციისა და ხარისხის პროექტის (საქართველო (I2Q)) ფარგლებში განსახორციელებელ ერთ-ერთ ქვეპროექტს წარმოადგენს.

ქვეპროექტი ითვალისწინებს ახალი სკოლის მშენებლობას ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ სულდაში. სკოლა 180 მოსწავლეზეა გათვლილი. ქვეპროექტისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი მდებარეობს სოფლის ცენტრალურ ნაწილში, მთავარ გზასთან. მიწის ნაკვეთზე შენობები და დაყრილი ნარჩენები არ არის. მისი გამოყენება ოფიციალურად ან არაოფიციალურად, არ ხდება. ნაკვეთის რეგისტრირებული ფართობია 15432 მ², საიდანაც 6,543 მ² გამოყენებული იქნება განაშენიანებისთვის (საკადასტრო კოდი: 63.22.35.252). მანძილი თბილისიდან დაახლოებით 200 კმ-ია. უახლოესი საცხოვრებელი კორპუსი საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 7-30 მეტრში მდებარეობს.

ქვეპროექტით გათვალისწინებულია სკოლის მთავარი შენობის, საინჟინრო ნაგებობების, ღია კომბინირებული სპორტული მოედნის მშენებლობა და არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ტექნიკური პროექტის თანახმად, სკოლის შენობა უნდა იყოს ორსართულიანი, სარდაფის გარეშე. სამხრეთ ნაწილს დაიკავებს სასწავლო ჯგუფები; ძირითადი ბუნებრივი განათება უზრუნველყოფილი იქნება სამხრეთის მხრიდან. პირველი სართულის დასავლეთ ნაწილში განთავსდება შიდა მრავალფუნქციური შესასვლელი, აღმოსავლეთში კი მოეწყობა საკვები ბლოკი, სასადილო ოთახით. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება ორი შიდა კიბით, რომლებიც თითოეულ სართულს ერთმანეთთან დააკავშირებს. ასევე, პირველი სართულის ძირითად შესასვლელში, შიგნით, მოეწყობა პირველი და მეორე სართულების დამაკავშირებელი ლიფტი.

ტექნიკური პროექტი უზრუნველყოფს თანამედროვე, ფუნქციურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, მოსწავლეებისა და პერსონალის მრავალფეროვანი აკადემიური და კლასგარეშე საჭიროებების შესაბამისად. საპროექტო სპეციფიკაციების თანახმად, მთელი ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე. შენობას ექნება ავარიული გასასვლელები, ორი კიბე და ერთი ლიფტი, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

სოფელ სულდაში კომუნალური სერვისები - წყალმომარაგება და ელექტროენერგია - შეზღუდულია. ჩამდინარე წყლის შემკრები და გამწმენდი ინფრასტრუქტურა არ არის. სოფლის მოსახლეობა სეპტიკურ სისტემებად მიწის ან ბეტონის ორმოებს/ტუალეტებს იყენებს. სკოლის შენობის პროექტი ითვალისწინებს ავტონომიური ბიოლოგიური გამწმენდი სისტემის მოწყობას, ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით. ვინაიდან სოფელ სულდაში ბუნებრივი აირის ცენტრალიზებული მიწოდების სისტემა არ არის, თავდაპირველად სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის სისტემა იმუშავებს შეშის ბრიკეტებზე. სოფლის გაზიფიცირების შემდეგ, სისტემა საწვავის ძირითად წყაროდ ბუნებრივ აირს გამოიყენებს.

ქვეპროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო ტერიტორიის შემოღობვა, ისეთი დროებითი კონსტრუქციების მონტაჟი, როგორიცაა საპირფარეშოები, გასახდელი ოთახები მუშებისთვის, დაცვის ჯიხური, საწყობი მასალებისთვის და საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების განთავსების ადგილები);
- ძირითადი შენობის მშენებლობა;
- საქვების მშენებლობა;
- კანალიზაციის მიმღები ბიოლოგიური გამწმენდი ბლოკის მონტაჟი;
- შენობის წყალმომარაგების, ელ. მომარაგების, გათბობის და ვენტილაციის შიდა ქსელების მონტაჟი;
- წყალმომარაგების გარე ქსელის, ინტერნეტის ქსელების მონტაჟი და დაერთება არსებულ მუნიციპალურ ქსელებზე;
- სახანძრო სიგნალიზაციის და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი;
- სტადიონის მშენებლობა;
- ტერიტორიის შემოღობვა;
- პარკინგის მოწყობა.

სკოლის ეზოში რამდენიმე ხე და ბუჩქია. დაგეგმილი სამუშაოების პროექტის თანახმად, არსებული ნარგავების მოჭრის საჭიროება არ არსებობს, რადგან სკოლის შენობის, საქვების, სტადიონის მშენებლობის და ბილიკების მოსაწყობად გამოყოფილ ტერიტორიაზე, ხეები არ არის. სამშენებლო სამუშაოების შედეგად, მოსალოდნელია 6048 მ³ ნიადაგის მოხსნა, საიდანაც 2,150 მ³ გამოყენებული იქნება უკუჩაყრისას, ხოლო დანარჩენი 3,898 მ³-ის გატანა მოხდება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ გამოყოფილ სანიტარულ ნაგავსაყრელზე, აღნიშნულ კომპანიასთან შეთანხმებით ან მუნიციპალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ ადგილზე. ქვეპროექტის განხორციელების პროცესში, მოიხსნება ნიადაგის დაახლოებით 530 მ³ ნაყოფიერი ფენა, რომელიც დროებით დასაწყობდება სკოლის ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობის 2013 წ. 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და აღდგენის შესახებ) მოთხოვნების შესაბამისად. მშენებლობის შემდეგ, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება ქვეპროექტით გათვალისწინებული სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების პროცესში.

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და ქვეპროექტების კლასიფიკაცია
(ა) ზემოქმედების შეფასება

აქვს თუ არა ქვე-პროექტის საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება მცირე უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე. ძირითადი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მშენებლობის ფაზასთან, რომელიც მოიცავს სკოლის, სპორტული დარბაზის და საქვების შენობის მშენებლობას.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედება მოკლე-ვადიანია და დაკავშირებულია მცირე მასშტაბის სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან მოდიფიცირებულ ლანდშაფტში: აღნიშნული დაკავშირებულია ხმაურთან, მტვერთან, ვიბრაციასთან და სამშენებლო მექანიზმებით გამოწვეულ ემისიებთან; ასევე მოსალოდნელია სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა; ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სკოლის მოვლა-პატრონობის შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებთან, რის მართვაზეც ადგილობრივი მუნიციპალიტეტია პასუხისმგებელი. ქვეპროექტი მოდიფიცირებულ გარემოში მდებარეობს. შესაბამისად, ზემოქმედება იქნება გარდამავალი და უმნიშვნელო (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, სატრანსპორტო მოძრაობის და მისასვლელის დროებითი შეზღუდვა და სხვ.). ექსპლოატაციის ეტაპზე უნდა მოხდეს წარმოქმნილი მყარი ნარჩენების სათანადო მართვა, ეკოლოგიური ზემოქმედების შესამცირებლად.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვეპროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი სოციალური ზემოქმედება, რადგან ადგილობრივებს ექნებათ წვდომა თანამედროვე სკოლაზე, რომელიც ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე. ქვე-პროექტის საბოლოო მიზანია სოფელ სულდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბავშვებისთვის განათლების ხარისხის და განათლების მიღების პირობების გაუმჯობესება. სკოლის რეკონსტრუქცია უზრუნველყოფს მცირე სარგებელს მისი მომხმარებლებისთვის, რაც გულისხმობს გაუმჯობესებულ სასწავლო სივრცეებს, სათამაშო მოედნებს, ყოველდღიურ სასწავლო აქტივობებსა და ზოგადად, გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურასა და საცხოვრებელ პირობებს. სასარგებლო იქნება გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედებაც, რადგან ადგილობრივ ბავშვებსა და მოსწავლეებს სკოლაში ექნებათ გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამუშაო პირობები, მოსახლეობას გაეზრდება შემოსავალი, როგორც (პროექტის) განხორციელების პროცესში (მუშების დასაქმება), ასევე მშენებლობის შემდგომ. ქვეპროექტი შექმნის დროებით და ზოგიერთ შემთხვევაში, მუდმივ სამუშაო შესაძლებლობებს ადგილობრივებისთვის (როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის), რადგან მათი დასაქმება შესაძლებელი იქნება როგორც

	რეაბილიტაციის, ასევე მოვლა-პატრონობის ეტაპებზე. თანამედროვე სკოლის არსებობა ხელს შეუწყობს უფრო მეტი ადამიანის (მათ შორის სკოლის ასაკის ბავშვიანი ოჯახების) დარჩენას სოფელ სულდაში. უარყოფითი ზემოქმედება მოკლევადიანია და შეზღუდულია სამშენებლო ტერიტორიით. აღნიშნული დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ შესაძლო შეწუხებასთან. ქვეპროექტით გათვალისწინებულია სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებზე. ქვეპროექტით მიწის შეძენა, განსახლება ან ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა (მაგ. ოფიციალური, ან არაოფიციალური მოვაჭრეები) გათვალისწინებული არ არის.
--	---

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტების ას?	სკრინინგის ეტაპზე სხვა საპროექტო ალტერნატივები არ განხილულა, რადგან სკოლის შენობის პროექტი - მშენებლობა-პროექტირების კონტრაქტის ფარგლებში - ჯერ მომზადებული არ არის. სკოლის პროექტი დააკმაყოფილებს სასკოლო შენობებისთვის განსაზღვრულ ეროვნულ სტანდარტებს და შეირჩევა საუკეთესო ალტერნატივები, რომელთა ცვლილება უზრუნველყოფილი იქნება მდებარეობისა და მოთხოვნების შესაბამისად.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	სამშენებლო სამუშაოების დროს მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირება გარემოზე მარტივად არის შესაძლებელი სამშენებლო სამუშაოების სათანადო მართვის შედეგად. კონტრაქტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს: ნარჩენების გატანა ნებადართულ ადგილას, მხოლოდ ლიცენზირებული კარიერების მასალის გამოყენება, ან ლიცენზირებული მომწოდებლებისგან მასალების მიღება, წყლის და ნიადაგის დაბინძურების თავიდან აცილება (საწვავის დაღვრა აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლის გამო, ბეტონის დაღვრა და სხვ.), მოსახლეობის შეწუხების (ხმაური, მტვერი, ემისიები) პრევენცია - სამუშაოების წარმოების/მიწოდების, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის სწორი გრაფიკის ჩამოყალიბებით და სამშენებლო მექანიზმების გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა. აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება, საწვავის და საპოხი მასალების გაჟონვაზე; ყველა მექანიზმის ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა უნდა განხორციელდეს ისე, რომ ყველა სახის გაჟონვა და მასალების დაღვრა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი; კონტრაქტორი ვალდებულია, რომ მოახდინოს დასაწყობების ადგილების ორგანიზება და გადახურვა. მასალების დასაწყობების ადგილები დაცული უნდა იყოს წყალგაუმტარი გადახურვით, რათა არ მოხდეს მათი გამორეცხვა ძლიერი წვიმების და წყალდიდობების

	დროს; იკრძალება მანქანების ტექნიკური მოვლა-პატრონობის პუნქტების მოწყობა ნებისმიერი წყლის ობიექტიდან 50 მეტრში. ქვეპროექტის განხორციელების პროცესში მოხდება გამაფრთხილებელი ნიშნების გამოყენება და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მართვა ობიექტის გარშემო. აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვა მოითხოვს დიდ ყურადღებას, რათა არ მოხდეს მუშებისა და მეზობელი თემების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაზიანება და გარემოს დაბინძურება. შემარბილებელი ღონისძიებებით გათვალისწინებულია პირადი დამცავი აღჭურვილობის დისციპლინირებული გამოყენება, სამუშაო ადგილის მორწყვა, სახიფათო ნარჩენების ცალკე, უსაფრთხო ადგილას შენახვა და დროული გატანა, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ განსაზღვრულ ნაგავსაყრელზე. ადგილობრივი მოსახლეობა წინასწარ იქნება გაფრთხილებული აზბესტის შემცველი მასალების ხელახალ გამოყენებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შესახებ; უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი თანხმობა, მსგავსი მასალების განკარგვაზე. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან საცხოვრებელი სახლები ქვე-პროექტის სიახლოვესაა განლაგებული. კონტრაქტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს კონკრეტული ღონისძიებების გატარება ადგილობრივებზე ზემოქმედების შესარბილებლად; აღნიშნული მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირებას მოსალოდნელი სამუშაოებისა და მუნიციპალური სერვისების დროებითი შეზღუდვების შესახებ, მსგავსი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში; უნდა მოხდეს ასევე სამუშაო საათების შეზღუდვა დღის განმავლობაში, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა და სხვ. სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პროცესში მნიშვნელოვანი ხასიათის საფრთხეების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის - შესაბამისი სამშენებლო პრაქტიკის და უსაფრთხოების პროცედურების გამოყენების გამო. საპროექტო ტერიტორიაზე აღინიშნება ბალახის საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. ნიადაგის მოხსნილი ნაყოფიერი ფენა მთლიანად დაექვემდებარება ხელახალ გამოყენებას - კეთილმოწყობის სამუშაოების დროს. მიწის სამუშაოების დაწყებამდე, საპროექტო ტერიტორია გასუფთავდება ბალახის ტიპის მცენარეებისაგან, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა კი მოიხსნება და დასაწყობდება - დროებით.
წარსულში განხორციელებული მსგავსი	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (მგფ) ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და ფართომასშტაბიანი შენობების (მათ შორის

პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	საჯარო სკოლების და ბაღების), გზების და ქუჩების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის ქვე-პროექტების განხორციელებაში. მსგავსი პროექტების განხორციელების საფუძველზე მიღებული გამოცდილების შესაბამისად, ტექნიკური პროექტით გათვალისწინებულია არა მხოლოდ სკოლის რეაბილიტაცია, არამედ გათბობის, ვენტილაციის და სახანძრო სისტემის, ასევე ცხელი წყლის მიწოდების, განათების სისტემების და ენერგოეფექტურობის პოტენციალის გაუმჯობესება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება - ენერგო ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იქნება შშმ პირების მიღებისა და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებისთვის.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	2025 წლის 27 მარტს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (MDF) და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ (MESY) ორგანიზება გაუწიეს საჯარო კონსულტაციას, რათა განეხილათ „სულდას საჯარო სკოლის მშენებლობის“ ქვეპროექტისთვის მომზადებული დიზაინი, გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP).

(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ☒

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო
საქმიანობების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის
საკონტროლო სიის შევსებას ☒
2. გარემოსდაცვით და სოციალურ განხილვას,
გარემოსდაცვითი და სოციალური
მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით ☐

ქვე-პროექტის სოციალურ და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, სამოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		X
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		X
თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.			

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	პროექტი ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი (საქართველო, I2Q)
ქვე-პროექტის დასახელება	სულდის საჯარო სკოლის მშენებლობა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	საჯარო სკოლის მშენებლობა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ სულდაში, ინკლუზიურობის, ინოვაციისა და ხარისხის პროექტის (საქართველო (I2Q)) ფარგლებში განსახორციელებელ ერთ-ერთ ქვეპროექტს წარმოადგენს. ქვეპროექტი ითვალისწინებს ახალი სკოლის მშენებლობას ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ სულდაში. სკოლა 180 მოსწავლეზეა გათვლილი. ქვეპროექტისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი მდებარეობს სოფლის ცენტრალურ ნაწილში, მთავარ გზასთან. მიწის ნაკვეთზე შენობები და დაყრილი ნარჩენები არ არის. მისი გამოყენება ოფიციალურად ან არაოფიციალურად, არ ხდება. ნაკვეთის რეგისტრირებული ფართობია 15432 მ², საიდანაც 6,543 მ² გამოყენებული იქნება განაშენიანებისთვის (საკადასტრო კოდი: 63.22.35.252). მანძილი თბილისიდან დაახლოებით 200 კმ-ია. უახლოესი საცხოვრებელი კორპუსი საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 7-30 მეტრში მდებარეობს. ქვეპროექტით გათვალისწინებულია სკოლის მთავარი შენობის, საინჟინრო ნაგებობების, ღია კომბინირებული სპორტული მოედნის მშენებლობა და არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა. ტექნიკური პროექტის თანახმად, სკოლის შენობა უნდა იყოს ორსართულიანი, სარდაფის გარეშე. სამხრეთ ნაწილს დაიკავებს სასწავლო ჯგუფები; ძირითადი ბუნებრივი განათება უზრუნველყოფილი იქნება სამხრეთის მხრიდან. პირველი სართულის დასავლეთ ნაწილში განთავსდება შიდა მრავალფუნქციური შესასვლელი, აღმოსავლეთში კი მოეწყობა საკვები ბლოკი, სასადილო ოთახით. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება ორი შიდა კიბით, რომლებიც თითოეულ სართულს ერთმანეთთან დააკავშირებს. ასევე, პირველი სართულის ძირითად შესასვლელში, შიგნით, მოეწყობა პირველი და მეორე სართულების დამაკავშირებელი ლიფტი. ტექნიკური პროექტი უზრუნველყოფს თანამედროვე, ფუნქციურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, მოსწავლეებისა და პერსონალის მრავალფეროვანი აკადემიური და კლასგარეშე

	საჭიროებების შესაბამისად. საპროექტო სპეციფიკაციების თანახმად, მთელი ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე. შენობას ექნება ავარიული გასასვლელები, ორი კიბე და ერთი ლიფტი, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სოფელ სულდაში კომუნალური სერვისები - წყალმომარაგება და ელექტროენერგია - შეზღუდულია. ჩამდინარე წყლის შემკრები და გამწმენდი ინფრასტრუქტურა არ არის. სოფლის მოსახლეობა სეპტიკურ სისტემებად მიწის ან ბეტონის ორმოებს/ტუალეტებს იყენებს. სკოლის შენობის პროექტი ითვალისწინებს ავტონომიური ბიოლოგიური გამწმენდი სისტემის მოწყობას, ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით. ვინაიდან სოფელ სულდაში ბუნებრივი აირის ცენტრალიზებული მიწოდების სისტემა არ არის, თავდაპირველად სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის სისტემა იმუშავებს შეშის ბრიკეტებზე. სოფლის გაზიფიცირების შემდეგ, სისტემა საწვავის ძირითად წყაროდ ბუნებრივ აირს გამოიყენებს. ქვეპროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების განხორციელება: • მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო ტერიტორიის შემოღობვა, ისეთი დროებითი კონსტრუქციების მონტაჟი, როგორიცაა საპირფარეშოები, გასახდელი ოთახები მუშებისთვის, დაცვის ჯიხური, საწყობი მასალებისთვის და საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების განთავსების ადგილები); • ძირითადი შენობის მშენებლობა; • საქვების მშენებლობა; • კანალიზაციის მიმღები ბიოლოგიური გამწმენდი ბლოკის მონტაჟი; • შენობის წყალმომარაგების, ელ. მომარაგების, გათბობის და ვენტილაციის შიდა ქსელების მონტაჟი; • წყალმომარაგების გარე ქსელის, ინტერნეტის ქსელების მონტაჟი და დაერთება არსებულ მუნიციპალურ ქსელებზე; • სახანძრო სიგნალიზაციის და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი; • სტადიონის მშენებლობა; • ტერიტორიის შემოღობვა; • პარკინგის მოწყობა. სკოლის ეზოში რამდენიმე ხე და ბუჩქია. დაგეგმილი სამუშაოების პროექტის თანახმად, არსებული ნარგავების მოჭრის საჭიროება არ არსებობს, რადგან სკოლის შენობის, საქვების, სტადიონის
--	--

	მშენებლობის და ბილიკების მოსაწყობად გამოყოფილ ტერიტორიაზე, ხეები არ არის. სამშენებლო სამუშაოების შედეგად, მოსალოდნელია 6048 მ³ ნიადაგის მოხსნა, საიდანაც 2,150 მ³ გამოყენებული იქნება უკუჩაყრისას, ხოლო დანარჩენი 3,898 მ³-ის გატანა მოხდება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ გამოყოფილ სანიტარულ ნაგავსაყრელზე, აღნიშნულ კომპანიასთან შეთანხმებით ან მუნიციპალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ ადგილზე. ქვეპროექტის განხორციელების პროცესში, მოიხსნება ნიადაგის დაახლოებით 530 მ³ ნაყოფიერი ფენა, რომელიც დროებით დასაწყობდება სკოლის ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობის 2013 წ. 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და აღდგენის შესახებ) მოთხოვნების შესაბამისად. მშენებლობის შემდეგ, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება ქვეპროექტით გათვალისწინებული სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების პროცესში.		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: ანა ბერძენაძე	გარემოს დაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტები დარეჯან კაპანაძე - გარემოს დაცვა დავით ჯიჯელავა - სოციალური საკითხები	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: „ეპტისა“ (Eptisa Servicios de Ingenieria S.L.), ესპანეთი	სამუშაოთა კონტრაქტორი: შპს „ემ-სი გრუპი“ (MC Group)
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	სულდის საჯარო სკოლა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ახალქალაქი, ჩარენცის ქუჩა #1 ტელ: 599 999 087 ელ. ფოსტა: varchucyun@gmail.com		

ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაშია
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო, ობიექტის გარშემო არსებული სოციო-ეკონომიკური კონტექსტი	სულდა სოფელია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში; სოფელი მდებარეობს ჯავახეთის ზეგანზე, თემის ცენტრი (სულდა, ბოზალი, დადეში, მასნიკიანი). სოფელი ზღვის დონიდან 1900 მ სიმაღლეზე მდებარეობს და მანძილი ახალქალაქიდან 20 კმ-ს შეადგენს. სოფლის ტერიტორიაზე პემზისა და პერლიტის საბადოა. მუნიციპალიტეტში მოიპოვება შემდეგი წიაღისეული: ვულკანური წიდა (სოფელი ზაქვი), პემზა (სოფლები: სულდა და ოკამი) და პერლიტი (სოფელი სულდა). მუნიციპალიტეტში 65 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 64 სოფელი. თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა საკრებულო. ადმინისტრაციის ტერიტორიული ერთეულებია: 1 ქალაქი - ახალქალაქი; 15 თემი - აზავრეთი, ალასტანი, არაგვა, ბარალეთი, გოგაშენი, ვაჩანი, ზაქვი, კარტიკამი, კარწახი, კოჭიო, ყუმურდო, ოკამი, სულდა, ხავეთი, ხოსპიო. 6 სოფელი - დილისა, კოთელია, პტენა, ჩუნჩხა, ხანდო. 2021 წლის აღწერის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 41 000 ადამიანს შეადგენს. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მეცხოველეობა, გაზაფხულზე მოჰყავთ ხორბალი და კარტოფილი. მრეწველობა სუსტად არის განვითარებული, ძირითად მრეწველობას კვების ინდუსტრია წარმოადგენს. მუნიციპალიტეტზე გადის სარკინიგზო ხაზი (მარაბდა-ახალქალაქი), რომელიც 2018 წლის გაზაფხულიდან, უკავშირდება კარწახის სასაზღვრო პუნქტს, რომელიც თავის მხრივ, საქართველოსა და თურქეთის რკინიგზებს აკავშირებს ერთმანეთთან. 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, სოფელში ცხოვრობს 726 ადამიანი. ნიადაგები: ახალქალაქის რაიონში, ზღვის დონიდან 1800-2000 მ სიმაღლეზე, ჭარბობს მთის შავმიწა ნიადაგი. ზემოთ, მთის მდელოს შავმიწა ნიადაგებია. გარკვეული ტერიტორია უკავია ჭაობიან ნიადაგს. ჭობარეთის ზემო წელში, ხელოვნურად გაშენებულ ფიჭვნარში, წარმოქმნილია ჟანგმიწა (ოქრა) და ჰუმუსოვან-კარბონატული ნიადაგები. რეგიონის ბორცვებისა და ქედების ქვედა კალთებზე, შავმიწა და მთის მდელოს ნიადაგებია. მთათაშორისი აუზი დაფარულია ალუვიური და ტყის ყავისფერი ნიადაგებით. ალუვიურ-კარბონატულ ნიადაგებს ყველაზე დიდი ფართობი უკავია მდინარის კალაპოტებსა და ტერასებზე.

მთისწინეთის ზონაში ჭარბობს გარდამავალი რუხი-ყავისფერი და ტყის ყავისფერი ნიადაგები. ძლიერი ეროზიული პროცესების გამო, მათი სხვადასხვა ვარიაციები დიდ ადგილს იკავებს.

ლანდშაფტები: ძლიერი ეროზიული პროცესების გამო, ჯავახეთის ზეგანი ხასიათდება შემდეგი ტიპის ლანდშაფტით: დაბალი, ვაკე-ბორცვიანი ლანდშაფტი, გრილი და მშრალი კლიმატით, ვულკანური სტრუქტურები და ნაოჭიანი ლანდშაფტები, მთის სტეპებისა და მდელო-სტეპების ფიტოცენოზები, ტბები, ალპური ფიტოცენოზების ადგილობრივი განვითარება, მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებული. ქვეპროექტის ტერიტორიაზე აღინიშნება წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი, ნაძვნარ-ნაძვი) და შერეული (ნაძვნარ-წიფელი) ტყის სახეობები - ტყის წითელ და ქვიშიან ნიადაგებზე.

ფიზიკური და გეოგრაფიული მახასიათებლები, გეოლოგიური აგებულება, კლიმატი და ჰიდროგეოლოგიური პირობები: ტერიტორიის კლიმატი ზოგადად, ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. საქართველოს ტერიტორიის კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორია განეკუთვნება I კლიმატურ ქვერეგიონს (#11, ახალქალაქი). საშუალო წლიური ტემპერატურაა 4.9°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი: - 38°C, აბსოლუტური მაქსიმუმი: 37°C. საშუალო წლიური ფართობითი ტენიანობა: 73%, ყველაზე ცივი თვის საშუალო ფართობითი ტენიანობა: 70%, ყველაზე ცხელი თვის საშუალო ფართობითი ტენიანობა: 45%. ნალექების წლიური რაოდენობა: 542 მმ, დღიური - მაქსიმალური: 63 მმ. თოვლის საფარის წონა არის 0,60 კპა, დღეების რაოდენობა თოვლის საფარით - 101. სტანდარტული ქარის წნევის კოეფიციენტი 15 წელიწადში ერთხელ არის 0,48 კპა. ქარის მაქსიმალური სიჩქარე, რომელიც შესაძლებელია აღინიშნოს 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ, არის 20, 25, 26, 28 და 29 მ/წმ, შესაბამისად. ნიადაგის სეზონური გაყინვის სტანდარტული სიღრმე თიხისა და თიხნარი ნიადაგებისთვის, არის 97 სმ, ხოლო მსხვილმარცვლოვანი ნიადაგებისთვის - 145 სმ.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი ტერიტორია მდებარეობს სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთის ზონაში, ქვეზონაში, და წარმოდგენილია გუმბათოვანი მასივებით, რომლებიც შედგება პლიოცენურ-მეოტხეული პერიოდის ვულკანებისგან, ვულკანური ქედების, პლატოებისა და ლავური ნაკადებისგან (ეროვნული ატლასი, 2012 წ.). ტერიტორიის რელიეფი წარმოდგენილია დასავლეთისკენ ოდნავ დაქანებული ტექნოგენური ზედაპირით. სამშენებლო მოედანს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება გრუნტის გზა, ხოლო დანარჩენი ორი მხრიდან - რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. სამშენებლო მოედანი განაშენიანებული არ არის, თუმცა მისგან დასავლეთით, ძველი შენობის საძირკველია. არეალის აბსოლუტური სიმაღლე მერყეობს შემდეგ მაჩვენებლებს შორის: 1,903.5 – 1,906.9 მ.

ქვეპროექტის ტერიტორია მდებარეობს მეოტხეული პერიოდის პროლუვიურ და ალუვიურ დანალექებზე, რომლებიც

	ძირითადად წარმოდგენილია ქვიშით, ხრეშით, კენჭებით, სილით, თიხითა და თიხნარით. მეოთხეული დანალექები განთავსებულია ახალქალაქის პლიო-პლეისტოცენური ფორმირების ბაზალტებსა და დოლერიტებზე. საქართველოს ჰიდროგეოლოგიური რუკის თანახმად, საკვლევი ტერიტორია ეკუთვნის ართვინი-ბოლნისის სარტყლის მიწისქვეშა წყლების ჰიდროგეოლოგიურ რეგიონს, ახალქალაქის ლავის ფორმირების მიწისქვეშა წყლების რაიონს. ახასიათებს $D > 1$ მ/წმ წყლის შემცველობა და მინერალიზაციის დაბალი ხარისხი. წყლის ობიექტები: მდინარე კოდალი (კოდალისწყალი) ქვეპროექტის ტერიტორიიდან 280 მეტრში მდებარეობს. ფლორა: ახალქალაქის რეგიონის ძირითად ნაწილში ხე არ არის, ტერიტორია დაფარულია მთის და მდელოს მცენარეულობით. მთის ხეობებში ჭარბობს ბალახოვან-მარცვლოვანი ჯგუფი, ასევე ფართოდ არის გავრცელებული ისლი (<i>Uro, sedge, sedge isle</i>) და მცენარეთა სხვა სახეობები. ქვეპროექტის ტერიტორია მთლიანად დაფარულია ბალახოვანი მცენარეულობით, ასევე ვხვდებით დარგულ ხეებსაც.
მასალების, მათ შორის შემავსებლების, განსაკუთრებით, წყლის და ქვების მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	არა-სახიფათო ნარჩენების უახლოესი ოფიციალური ნაგავსაყრელი მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ქვეპროექტის ტერიტორიიდან დაახლოებით 24 კმ-ში. მანძილი ქვეპროექტის ტერიტორიიდან უახლოეს ლიცენზირებულ კარიერამდე, რომელიც მდინარე ბარალეთისწყალზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვასთან მდებარეობს, დაახლოებით 30 კმ-ია.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	I2Q პროექტი განხორციელებულია მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის OP/BP 4.01 – გარემოსდაცვითი შეფასების შესაბამისად. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, წარმოდგენილი ქვე-პროექტი კლასიფიცირდა გარემოსდაცვითი „B“ კატეგორიის პროექტად და წარმოდგენილი დოკუმენტი (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP)) სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის იქნა შემუშავებული - ბანკის სამოქმედო პოლიტიკის (OP/BP 4.01) და I2Q პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) პრინციპების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის რეაბილიტაცია არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემას, თუმცა ეროვნული რეგულაციების თანახმად:

	სამშენებლო მასალების შეძენა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან; თუ კონტრაქტორი გადაწყვეტს კარიერის გახსნას, მან უნდა მიიღოს შესაბამისი ლიცენზია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან; იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები, ან 200 ტონაზე მეტი არა-სახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების ინვენტარიზაცია, ნარჩენების მართვის გეგმა და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, დანიშნოს გარემოს დაცვის მენეჯერი და მის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად; სამშენებლო ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან შეთანხმებულ ოფიციალურ ნაგავსაყრელზე ან განთავსდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან ოფიციალურად შეთანხმებულ და წინასწარ შერჩეულ ადგილას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება მოხდება საქართველოს მთავრობის 2013 წ. 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და აღდგენის შესახებ) მოთხოვნების შესაბამისად.
საჩივრების მოგვარების მექანიზმი	
საჩივრების მოგვარების მექანიზმი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს აძლევს მათთვის მიუღებელი სამუშაოების, ან გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. საჩივრების მოგვარების მექანიზმის არსებობის შესახებ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები გაიგებენ საჯარო კონსულტაციების შედეგად და გავრცელებული ბროშურებით - სამუშაოების დაწყებამდე. შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი განცხადებები გაიკვრება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობების ჰოლებში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები მიიღებენ სრულ ინფორმაციას მათი უფლებებისა და პრეტენზიების ზეპირად, ან წერილობით გასაჩივრების პროცედურების შესახებ, როგორც მშენებლობის წინა, ასევე მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპებზე. საჩივრების მოგვარების მექანიზმის ამოქმედებასთან მიმართებაში, პრიორიტეტი მიენიჭება საჩივრების პრევენციას. მიღებული საჩივრები წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (MESY) და მგფ-ს. საჩივრების მონიტორინგის ფარგლებში, სამინისტრო და მგფ ახდენს	

ყველა მიღებული საჩივრის, შენიშვნების და იმის, თუ როგორ მოხდება საჩივრის მოგვარება - რეგისტრაციას. საჯარო კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება საჩივრების მოგვარების პროცესის შესახებ და ისინი მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების თაობაზე.

სამინისტროს მხრიდან საკონტაქტო პირია: მარინე ჟვანია (ტელ:: +995 577 27 88 41, marina.zhvania@iiq.gov.ge, 0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის N 52);

მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირები არიან: დავით არსენაშვილი (ტელ: +995 599 019 183; feedback@mdf.org.ge) და სალომე მეფარიშვილი (+995 599 952 067); მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-4 სართული, 0112, თბილისი, საქართველო).

საჯარო კონსულტაცია

სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	2025 წლის 27 მარტს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (MDF) და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ (MESY) ორგანიზება გაუწიეს საჯარო კონსულტაციას, რათა განეხილათ „სულდას საჯარო სკოლის მშენებლობის“ ქვეპროექტისთვის მომზადებული დიზაინი, გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP).
--	--

დანართები

- დანართი 1: ორთო-ფოტო
- დანართი 2: გენ. გეგმა
- დანართი 3: ტოპო-გეგმა
- დანართი 4: საკადასტრო ინფორმაცია
- დანართი 5: საკადასტრო გეგმა
- დანართი 6: ობიექტის ფოტოები
- დანართი 7: პროექტის ნახაზები (3D ვიზუალიზაცია და სხვ.)

ნაწილი B: ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ

გარემოს დაცვითი/ სოციალური სკრინინგი			
მოიცავს თუ არა ადგილზე აქტივობა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს?	აქტივობა/ საკითხი	სტატუსი	გააქტიურებული აქტივობა
	1. რეაბილიტაცია	[] დიახ ☒ არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი A
	2. ახალი მშენებლობა	☒ დიახ [] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი A
	3. ნარჩენი წყლების დამუშავების ინდივიდუალური სისტემა	☒ დიახ [] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. იხ. ქვემოთ ნაწილი B
	4. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	[] დიახ ☒ არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი C
	5. მიწის შეძენა ¹	[] დიახ ☒ არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი D
	6. ზემოქმედება მიწის და საკუთრების გამოყენებაზე	[] დიახ ☒ არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი E
	7. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები ²	[] დიახ ☒ არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი F
	8. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[] დიახ ☒ არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი G
	9. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	[] დიახ ☒ არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი H
	10. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	☒ დიახ [] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი I
	11. საზოგადოება და შრომის ჯანდაცვა და უსაფრთხოება	☒ დიახ [] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი J

¹ მიწის შესყიდვა გულისხმობს ადამიანთა ადგილმონაცვლეობას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს - ჯიხურებს) მიწაზე, რომლიც შეძენა მიმდინარეობს.

² ტოქსიკური/ სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება აზბესტით, ტყვიის შემცველი და სხვა ტოქსიკური საღებავებით, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელებით და ა.შ.

ნაწილი C: ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება	(a) მშენებლობისთვის, ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვებისთვის, ნარჩენების გატანისთვის და სხვ. საკითხების შესრულებისთვის საჭირო კანონიერი ნებართვების მიღება; (b) მომუშავეთა პირადი დაცვის აღჭურვილობა (PPE) შესაბამისობაში უნდა იყოს კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან (მუშაობის დროს ყოველთვის დამცავი ჩაფხუტის ტარება, და საჭიროების შემთხვევაში: ნიღბები და უსაფრთხოების ჩექმები) და უნდა განხორციელდეს კონტროლი აღნიშნული აღჭურვილობის გამოყენებაზე; (c) მუშების პირადი დაცვის აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს კარგ საერთაშორისო პრაქტიკას (დამცავი ჩაფხუტების მუდმივად ტარება, ხოლო ნიღბების, დამცავი სათვალეების, უსაფრთხოების ღვედების და სპეციალური ფეხსაცმელების ტარება - საჭიროებისამებრ); (d) სამუშაო ტერიტორიებზე განლაგებული მაჩვენებლები მუშებისთვის, სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შესასრულებელი ძირითადი წესებისა და რეგულაციების შესახებ; (e) თითოეულ სამუშაო ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის შესახებ, შესაბამის საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად.
A. ზოგადი რეაბილიტაცია და / ან სამშენებლო აქტივობები	ჰაერის ხარისხი	(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე; ამასთან, ნარჩენებზე უნდა მოხდეს წყლის მოსხმა, მტვრის შესამცირებლად; (b) პნევმატური ბურღვის/ კედლების ნგრევის პროცესის შედეგად მიღებული მტვრის გავრცელება უნდა შეიზღუდოს წყლის მოსხმით და /ან ადგილზე მტვრის საწინააღმდეგო ეკრანის დამონტაჟებით; (c) მიმდებარე ტერიტორია (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს (სამშენებლო) ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (d) სამშენებლო მასალის/ნარჩენების ღია ტიპის წვა სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა განხორციელდეს; (e) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში უქმად არ უნდა იყოს გაჩერებული (საპროექტო) ტერიტორიაზე;

		(f) დატვირთული სატრანსპორტო საშუალებები ცალკე უნდა განთავსდეს და დაცული უნდა იყოს - გადახურვით.
	ხმაური	(a) სამშენებლო ხმაური უნდა შეიზღუდოს დღის სამუშაო საათებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, დახურული ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან, დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს დასახლებული ტერიტორიებიდან; (c) მაქსიმალურად დასაშვები სიჩქარე უნდა შეიზღუდოს.
	წყლის ხარისხი	(a) ადგილზე მოხდება ეროზიისა და დანალექების საკონტროლო ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა თივის შეკვრებისა და/ან შლამის მესერების დამონტაჟება, რაც ხელს შეუშლის დანალექების სამშენებლო ტერიტორიებიდან გასვლას და ახლომდებარე ნაკადებისა და მდინარეების ზედმეტ ამღვრევას; (b) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების გარეცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისად გამოყოფილ ადგილას, სადაც წყლის ჩამონადენი არ დააბინძურებს ბუნებრივი ზედაპირის წყლის ობიექტებს; (c) საპოხი მასალები, საწვავი და გამხსნელები უნდა განთავსდეს და გამოყენებულ იქნას შესაბამის მექანიზმებთან მიმართებაში მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებზე, ნიადაგის სათანადო დაცვის (გადახურვის) და საოპერაციო და საავარიო დაღვრის განცალკევების მიზნით. ობიექტზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი და სხვ.), დაღვრის ლოკალიზების მიზნით.
	ნარჩენების მართვა	(a) წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის მინიმუმამდე დაყვანა, შესაძლებლობის ფარგლებში; (b) წარმოქმნილი ნარჩენების სხვადასხვა ტიპების განცალკევება და ნარჩენების შესაბამისი სახეობების ხელახალი გამოყენება, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი; (c) ნარჩენების სხვადასხვა ტიპებისთვის დროებითი განთავსების ადგილების გამოყოფა. დაუშვებელია საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების ზედმეტი მოცულობების აკუმულაცია; (d) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრის და ზედმეტი მასალის (ინერტული სამშენებლო მასალა) საბოლოო განთავსების მიზნით ოფიციალური ნებართვების მიღება მუნიციპალური უწყებებიდან;

		(e) სახიფათო ნარჩენების, ან ლიცენზირებული კომპანიებისთვის აღნიშნული ნარჩენების გადაცემის საკითხის დროული გადაწყვეტა.
	მასალების მიწოდება	(a) მასალები შეძენილი უნდა იქნეს იმ არსებული საწარმოებისა და კარიერებისაგან, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ოფიციალური ნებართვა, ან მოქმედი ლიცენზია საქმიანობის განსახორციელებლად; (b) მოპოვებული უნდა იქნეს შესაბამისი ლიცენზია, თუ საჭიროა ახალი კარიერის გახსნა; (c) კარიერების ტერიტორიების გამოყენებული მონაკვეთების აღდგენა, ექსტრაქციის (მოპოვების) გაგრძელების შემთხვევაში, ან მათი სათანადოდ დახურვა, ექსტრაქციის (მოპოვების) დასრულების და ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემთხვევაში; (d) მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკის საათებში; (e) სიჩქარის მარეგულირებელი, მიმართულების შეცვლის აღმნიშვნელი და გამაფრთხილებელი ნიშნების უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებისთვის - საჭიროების შესაბამისად.
B. ინდივიდუალური წყალგამწმენდი სისტემა	წყლის ხარისხი	(a) საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ჩამდინარე წყლების მართვის, ასევე გამწმენდი აღჭურვილობის პროექტის დამტკიცების უზრუნველყოფა შესაბამისი ორგანოების მიერ; (b) მიმღებ წყალში დაცლამდე, ჩამდინარე წყლის ინდივიდუალური აღჭურვილობიდან გამოსული მასა უნდა იყოს დამუშავებული/გაწმენდილი, წყლის ხარისხისა და ჩამდინარე წყლის დამუშავების/გაწმენდის შესახებ მოქმედი ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპებით დადგენილი ხარისხის მინიმალური კრიტერიუმების შესაბამისად; (c) ჩამდინარე წყლის ახლად მოწყობილი გამწმენდი აღჭურვილობის მონიტორინგი და დამკვეთის ინფორმირება მონიტორინგის შედეგების შესახებ; (d) სამშენებლო საავტომობილო საშუალებების და მექანიზმების გარეცხვა მხოლოდ გამოყოფილ ტერიტორიაზე, სადაც წყლის ჩამონადენი არ გამოიწვევს ბუნებრივი ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურებას.

J. საზოგადოების და შრომის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მიწის სამუშაოები	(a) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უნდა მოიხსნას მიწის სამუშაოების დაწყებამდე; (b) აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების შესაბამისი პრაქტიკის გამოყენება, გრუნტის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური აქტივობის შენარჩუნებისათვის; უნდა აღიმართოს დროებითი შლამის მესერები, ეროზიის (გამორეცხვის) პრევენციის მიზნით; (c) ნიადაგის დასაწყობებული ფენის გამოყენება უნდა მოხდეს აღდგენისა და გამწვანების პროცესში; (d) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა იმ ადგილებიდან, რომლებიც არ ექვემდებარებიან პირველადი მდგომარეობის აღდგენას, ფრთხილად გადანაწილდება მიმდებარე ტერიტორიაზე; (e) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღდგენა მოხდება ქვენიადაგისგან განცალკევებით, რათა არ მოხდეს აღნიშნული მასალების ერთმანეთთან შერევა. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღდგენა საკმარისია თავდაპირველი ნაყოფიერი სიღრმის აღსადგენად, რაც გამოჩნდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ზოლზე - ვიზუალური დაკვირვებისას და აღდგენილი და მიმდებარე ადგილების ერთმანეთთან შედარებისას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ადგილმონაცვლეობის დროს, კონტრაქტორმა ისე უნდა დაგეგმოს სამუშაოები, რომ თავდაპირველად მოხდეს ყრილებისგან ყველაზე დიდი მანძილით დამორებული ადგილების აღდგენა, თანდათანობით კი უნდა მოხდეს აღდგენის აღნიშნულ ყრილებთან დაახლოვება, რაც შეამცირებს სატრანსპორტო საშუალებების ნიადაგის აღდგენილ ნაყოფიერ ფენაზე მოძრაობის მოცულობას. ნიადაგის აღდგენილი ნაყოფიერი ფენა შეძლებისდაგვარად დაიფარცხება, რაც შეინარჩუნებს მცენარეული საფარის მდგრადობას და ხელს შეუწყობს ვეგეტაციის ზრდას; (f) მიწის სამუშაოების პროცესში შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს ფიზიკური სამუშაოების წარმოება საპროექტო ტერიტორიაზე და აცნობოს მგფ-ს. ფონდი (მგფ) მყისიერად აცნობებს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას შემდგომ მოქმედებებზე. სამუშაოების გაგრძელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილობითი ნებართვის მიღების შემდეგ.
	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	(a) კონტრაქტორის ჯგუფში გამოყავით პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და მათი თხოვნების/საჩივრების მიღებაზე;

		(b) გაიარეთ კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამუშაოების განმახორციელებლებსა (დაქირავებულ სამუშაო ძალასა) და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტების გამოვლენის და შესაბამისად მართვის მიზნით; (c) მოახდინეთ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სამუშაოების განმახორციელებლების (დაქირავებულ სამუშაო ძალის ტერიტორიაზე) ყოფნასთან დაკავშირებით, სექსუალურად გადამცემი დაავადებების რისკის შესახებ და ჩართეთ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში; (d) აცნობეთ მოსახლეობას მშენებლობის და სამუშაოების გრაფიკების შესახებ, ასევე სერვისების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტების, ავტობუსების დროებითი მარშრუტების და აფეთქებისა და ნგრევის შესახებ, საჭიროებისამებრ; (e) სამშენებლო საქმიანობა შეზღუდეთ ღამით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყავით ღამის სამუშაოების ფრთხილად დაგეგმვა და მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, რათა მათ შეძლონ ყველა საჭირო ზომის მიღება; (f) მოსახლეობის მინიმუმ ხუთი დღით ადრე ინფორმირება, რომელიმე სერვისის (მათ შორის, წყლის, ელექტროენერგიის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების) შეწყვეტამდე; მოსახლეობის გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდება სამუშაო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/ბიზნეს ობიექტებზე; (g) დამკვეთის მიერ შექმნილი საჩივრების მოგვარების მექანიზმის საშუალებით წამოჭრილი პრობლემური საკითხების მოგვარება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში; (h) სამუშაო ბანაკები არ განთავსდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო სიახლოვეს, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი; (i) სამუშაო ბანაკების განთავსება და ოპერირება განახორციელეთ მეზობელ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე.
--	--	---

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელ დეს მონიტორინგ ი	როდის რა სიხშირით/პერი ოდულობით უნდა განხორციელდე ს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან;	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტებ ის შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების სტანდარტული ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით;	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შეზღუდვა; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია

	ტრანსპორტირების დადგენილი საათებისა და მარშრუტების დაცვა				შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მომრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; ამოღებული გრუნტის უკუ-ჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება სამინისტროს წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ;	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირებ ა	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება; ფიზიკური და კულტურული რესურსების დაზიანების და დანაკარგის თავიდან აცილება; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვის პრევენცია.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა - მიწის სამუშაოების დაწყებამდე; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების შესაბამისი პრაქტიკის გამოყენება; დროებითი დამცავი შემოღობვის (შლამის მესერის) აღმართვა; ნიადაგის მოხსნილი ნაყოფიერი ფენის გამოყენება აღდგენის და გამწვანების პროცესში.					
ბუნებრივი სამშენებლო მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტის საფუძველზე და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	მასალის მოპოვების პერიოდში	ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შეზღუდვა; მდინარის ნაპირების ეროზიის, შეწონილი	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	კარიერების დატერასება, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.				ნაწილაკებით წყლის დაბინძურების და წყლის ფლორის და ფაუნის დარღვევის შეზღუდვა	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად - მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო ტერიტორიაზე და სამშენებლო ტერიტორიის გარშემო	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივი მაცხოვრებლები ს შეწუხების შეზღუდვა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; სასმელი წყლის და ტუალეტების უზრუნველყოფა მამაკაცებისა და ქალებისთვის სამუშაო ტერიტორიაზე; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	საწარმოო უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი


	ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა.					
სამუშაოების წარმოება დასახლებაში	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირება მომავალი სამუშაოების და მუნიციპალური სერვისების მიწოდების დროებითი შეფერხების შესახებ, რამაც შესაძლოა იჩინოს თავი სამუშაოების წარმოების პროცესში; დღის განმავლობაში განსაზღვრული სამუშაო საათების დაცვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად	ადგილობრივი მაცხოვრებლები უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შეწუხების მინიმუმამდე შემცირება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ექსპლოატაციის ფაზა						
სკოლის	მყარი ნარჩენების	სკოლის	ინსპექტირება	სკოლის	მყარი	განათლების,

მოვლა- პატრონობის შედგად წარმოქმნილი ნარჩენები	შესაბამისი მართვა	ტერიტორია	ა	ექსპლოატაციის პერიოდში	ნარჩენებისაგან დაბინძურების პრევენცია	მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ბლოკის ექსპლოატაცია	სკოლის შენობისთვის მოწყობილი ბიოლოგიური გამწმენდი ბლოკის რეგულარული მოვლა- პატრონობა და დროული შეკეთება - საჭიროებისამებრ	სკოლის ტერიტორია	ინსპექტირებ ა	ობიექტის ექსპლოატაციის დროს	ზედაპირული დ გრუნტის წყლების გაუწმენდავი კანალიზაციით დაბინძურების პრევენცია	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო


დანართი 1: ორთოფოტო



დანართი 2: გენგეგმა



დანართი 3: ტოპოგრაფიული გეგმა



დანართი 4: საკადასტრო ინფორმაცია



მის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 63.22.35.252**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022861562 - 17/11/2022 14:32:53

მომზადების თარიღი
27/01/2023 11:03:13

საკუთრების განყოფილება

მონა აბაღალაქი	სექტორი სულა	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 15432.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 63.22.35.130; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 (მშენებარე), N2 (მშენებარე)
63	22	35	252	

მისამართი: მუნიციპალიტეტი აბაღალაქი, სოფელი
სულდა

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017619519 , თარიღი 12/07/2017 15:47:51
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/07/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/2-516 , დამოწმების თარიღი: 28/10/2022 , სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N1/2-268 , დამოწმების თარიღი: 11/07/2017 , სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882022861562
თარიღი 17/11/2022
14:32:53
უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
27/01/2023

მოსარგებლე: სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტი სოფელ სულდის საჯარო
სკოლა 223364231;
საგანი: 15432.00 კვ.მ. და მასზე განთავსებული N1 (მშენებარე), N2 (მშენებარე) ;
არსებობის ვადით;

მომართვა, რეგისტრის ნომერი N16/62613, დამოწმების თარიღი 09/11/2022, სსიპ
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყაღადა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

* ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგნიტული ბეჭდის რეალიზაციას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სამეურნეო მიღებისას სამეცხოველო გადასახადი გადახდის ვქვეყნებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციის საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედვით.

- დოკუმენტის ნაშეუილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერბიორიულ სარეესტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახელმძა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გვერდიკური ხარისხის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მსრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენიეის საბეგრესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 4: საკადასტრო გეგმა



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **63.22.35.252**

ნაკვეთის დანიშნულება:


არასასოფლო საშენობო

განცხადების ნომერი: **882023076364**

ფართობი:

15432 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

შომზადების თარიღი: **30/01/2023**



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, 22; ტელ: (995 32) 2 25 15 28;

<http://mapr.gov.ge>

დანართი 5: ობიექტის ფოტოები



დანართი 6: საპროექტო ნახაზები (3დ ვიზუალიზაცია და სხვ.)



პროექტი ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი (საქართველო I2Q)

სულდას საჯარო სკოლის მშენებლობა

**საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა
გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშის პროექტსა და გარემოსდაცვითი
და სოციალური მართვის გეგმაზე**

2025 წლის 27 მარტს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (MDF) და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ (MESY) ორგანიზება გაუწიეს საჯარო კონსულტაციას, რათა განეხილათ „სულდას საჯარო სკოლის მშენებლობის“ ქვეპროექტისთვის მომზადებული დიზაინი, გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP). შეხვედრა გაიმართა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სულდას სარიტუალო დარბაზში. კონკრეტული ადგილი შეირჩა პროექტის სპეციფიკაციის შესაბამისად. საკონსულტაციო შეხვედრის დეტალები (თარიღი, დრო და საკონტაქტო ინფორმაცია) შეტანილი იყო განცხადებაში. განცხადებები გამოკრული იყო სკოლების ტერიტორიის მიმდებარე ქუჩებზე, ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე და MDF-ისა და MESY-ის ვებგვერდებზე.

კონსულტაციის მიზანი იყო დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ქვე-პროექტის, ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მისი პოტენციური უარყოფითი/დადებითი ზემოქმედებისა და მათი პრევენციის ან შერბილების ღონისძიებების შესახებ.

შეხვედრაზე დამსწრეები სულდას საჯარო სკოლიდან:

██████████ - სკოლის დირექტორი.

██████████ - ახალქალაქის რესურს ცენტრის ხელმძღვანელი.

სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები

MESY-ს წარმომადგენლები:

██████████ – GRM საკონტაქტო პირი

კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლები:

██████████ – შპს MC ჯგუფის დირექტორი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

██████████ – გარემოს დაცვის სპეციალისტი

██████████ – სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტი

██████████ გახსნა შეხვედრა და მფ-სა და MESY-ს წარმომადგენლებს წარუდგინა შეხვედრის მიზნები. მან მოკლედ წარადგინა ქვე-პროექტი და დეტალურად განიხილა ყველა დაგეგმილი სამშენებლო სამუშაო.

მან განმარტა, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, პროექტს არ სჭირდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. თუმცა, პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მგფ პასუხისმგებელია მსოფლიო ბანკის (WB) უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვაზე. ამიტომ, მან წარადგინა მსოფლიო ბანკის სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და წარმოადგინა ამ პროექტისათვის შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა.

მან მოკლედ განიხილა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა. წარმოადგინა დოკუმენტში აღწერილი გარემოსდაცვითი, სოციალური, საზოგადოებასთან ურთიერთობის და შრომის მართვის ზომები. ESMP-ის აუცილებელ ნაწილად, მან დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ამ გეგმის პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებზე და ამ ნეგატიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან მინიმუმზაციისთვის საჭირო შემარბილებელი ზომების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით, ხეების მოჭრა საჭირო არ არის, მოჭრილი ნიადაგი სრულად გამოყენებული იქნება ადგილზე ეზოს ლანდშაფტის მოწყობისთვის.

აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ, ESMP-ის დებულებების საფუძვლიანი განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალური და ბუნებრივი გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, სავალდებულოა სამუშაოების კონტრაქტორისთვის. მან ასევე განიხილა გარემოსდაცვითი მონიტორინგის ასპექტები, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის პასუხისმგებელი მხარეები და ანგარიშგების პროცედურები პროექტის განხორციელების დროს.

აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება არ მოითხოვს მიწის ჩამორთმევას ან განსახლებას, ან ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას (მაგალითად, ფორმალური ან არაფორმალური გამყიდველებისთვის). მან მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია პროცედურების და MDF-ში შექმნილი საჩივრების განხილვის მექანიზმის მნიშვნელობის შესახებ. კომუნიკაციისთვის გაუზიარა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის არსებობის შემთხვევაში და/ან კომენტარებისა და წინადადებების გამოთქმის შემთხვევაში. მან მიაწოდა ინფორმაცია ბილბორდების შესახებ, სადაც მათ შეუძლიათ იპოვონ GRM-ის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტა), საჩივრების ყუთები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა სამშენებლო ობიექტზე და საჩივრების ფორმები ანონიმური საჩივრებისთვის.

აუდიტორიას წარუდგინა ინფორმაცია საზოგადოების ჩართულობის, უკუკავშირის მექანიზმების და პროექტის განხორციელების გენდერულ ასპექტებზე. მონაწილეებს შორის გავრცელდა ბროშურები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სექსუალური შევიწროებისა და გენდერული ძალადობის მართვის შესახებ.

პროექტირებისა და მშენებლობის კონტრაქტორის წარმომადგენელი აუდიტორიას ესაუბრა შენობის არქიტექტურულ თავისებურებებზე, ოთახების განლაგებასა და სკოლის შენობის გარე ფასადზე.


შეხვედრის დასასრულს, აუდიტორიამ მონაწილეობა მიიღო კითხვა-პასუხის სესიაში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. დაისვა შემდეგი კითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები :	პასუხები და კომენტარები:
როდის დაიწყება სკოლის მშენებლობა?	სამშენებლო სამუშაოები აპრილში დაიწყება.
როგორ გათვება სკოლის შენობა?	სკოლის ცენტრალური გათვობის სისტემა თავდაპირველად ხის ბრიკეტებზე იმუშავებს, ხოლო სოფლის გაზიფიკაციის შემდეგ, სისტემა ძირითად საწვავად ბუნებრივ აირს გამოიყენებს.
ექნება სკოლის შენობას დახურული სპორტული დარბაზი?	დიახ, სკოლას ექნება შიდა სპორტული დარბაზი.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს მადლიერება და აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი ქვეპროექტის განხორციელება მეტად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

შეხვედრის მონაწილეებმა დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს ქვეპროექტის მიმართ.

ფოტო მასალა თანდართულია.



დამსწრეთა ნუსხა:

სულდას საჯარო სკოლის მშენებლობა (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი)


Construction of Sulda Public School in Akhalkalaki Municipality

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

Public Consultation Meeting

List of Attendees

#	სახელი და გვარი / Full Name	მისამართი / Address	ორგანიზაცია / Organization	საკონტაქტო ინფორმაცია / Contact Information	ხელმოწერა / Signature



ოქმი MDF-ის მიერ მომზადდა 2025 წლის აპრილში.

დანართი 9: ხელშეკრულება/ლიცენზიები

ხელშეკრულება შპს MC Group-სა და შპს ოვალს შორის

სამუშაოების შესრულების ხელშეკრულება (ქვეკონტრაქტი)

ქ. თბილისი

04 მარტი 2025 წელი

ერთის მხრივ შპს „ემ-სი გრუპი“, [REDACTED] წარმოდგენილი მისი დირექტორის [REDACTED] სახით, შემდგომში „**დამკვეთი**“ და მეორეს მხრივ შპს „ოვალს“, [REDACTED] წარმოდგენილი მისი დირექტორის [REDACTED] სახით შემდგომში „**შემსრულებელი**“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ედებათ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგნაირად:

1. ტერმინთა განსაზღვრება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ქვემოთ მოყვანილ სიტყვებსა და გამოთქმებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

„**ხელშეკრულება**“ - წინამდებარე დოკუმენტი, მასში შემავალი ყველა დებულების, პირობისა და ყველა მისი დანართის ჩათვლით, რომლებიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, და ასევე ყველა მისი ცვლილებისა და დანართის ჩათვლით, რომლებსაც მოეწერა ხელი მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და რომლებიც ამ ხელშეკრულების გარეყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

„**ობიექტი**“ ნიშნავს **სამშენებლო მოედანს, რომელზეც წარმოებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები** მისი ნაკვეთით, საინჟინრო ქსელებით, კომუნიკაციებითა და მოწყობილობებით სამშენებლო მოედნის ფარგლებში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: სოფელ სულდის საჯარო სკოლის ტერიტორია (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. სულდა, ს.კ. [REDACTED]), რომელზეც წარმოებს სამშენებლო სამუშაოები წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

„**სამშენებლო მოწყობილობა**“ ნიშნავს ყველა სახის მანქანებს, მექანიზმებს, მოწყობილობებს, სითბოსა და ენერგიის დროებით და მოძრავ წყაროებს, ინსტრუმენტებს, ინვენტარსა და სხვადასხვა აღჭურვას, რომლებიც აუცილებელია სამუშაოების შესასრულებლად.

„**შემსრულებლის წარმომადგენლები**“ - ნიშნავს სათანადოდ უფლებამოსილ მენარდის წარმომადგენლებს, რომლებიც წარმოადგენენ მენარდს სამშენებლო მოედანზე და მისი სახელით ასრულებენ ყველა მართლზომიერ ქმედებას თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე მენარდის სუბკონტრაქტორებსა და მათ წარმომადგენლებს, რომლებიც მართლზომიერად იმყოფებიან „ობიექტზე“

„**დამკვეთის წარმომადგენლები**“ - ნიშნავს სათანადოდ უფლებამოსილ დამკვეთის წარმომადგენლებს, რომლებიც წარმოადგენენ დამკვეთს სამშენებლო მოედანზე და მისი სახელით ასრულებენ ყველა მართლზომიერ ქმედებას თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.

„**დოკუმენტები შესრულებული სამუშაოების შესახებ**“ - ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულებაში დასახელებული დოკუმენტების ჩამონათვალს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „**შემსრულებელი**“ კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს სოფელ სულდის საჯარო სკოლის შენობის სამშენებლო სამუშაოები (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. სულდა, ს.კ. 63.22.35.252). (შპს „ემ-სი გრუპი“-სა და სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება №IBRD/I2Q/DB/NCB/03-2023-2-ის შესაბამისად). ხოლო „**დამკვეთი**“ თავის მხრივ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესით.

2.2. სამუშაოთა შესრულების კალენდარული ვადები: სამუშაოთა შესრულება იწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში და დასრულებულ უნდა იქნეს 540 (ხუთასორმოცი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს [REDACTED] **დღგ-ს ჩათვლით.**

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულების გადახდა ხორციელდება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით.

4. სამუშაოთა მიღებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოთა ღირებულების ანაზღაურება მოხდება ერთობრივად, „ღამეკვეთი“-სა და „შემსრულებელი“-ს შორის გაფორმებული შესრულებული შუადღეური სამუშაოების აქტების ხელის მოწერიდან არაუგვიანეს 3 საბანკო დღეში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

4.2. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოების საბოლოოდ დამთავრებისას, საბოლოო მიღება-წაბარების აქტის ხელის მოწერიდან არაუგვიანეს 3 საბანკო დღეში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

5. შემსრულებლის თანხმობა კონტრაქტის პირობებზე

„შემსრულებელი“ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ:

5.1. სრული მოცულობით იღებს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. „ღამეკვეთი“ ვალდებულია:

6.1.1. „ღამეკვეთი“ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.

6.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

6.1.1. სამუშაოთა წარმოების აგდილას მიიტანოს მასალები, ნაკეთობები და მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია მენარდის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისათვის. სამუშაოთა წარმოებისათვის უზრუნველყოს მათი მიღება, გადმოტვირთვა, დასაწყობება, დაცვა და მონტაჟისათვის გასყენება დამკვეთის მიერ მიწოდებული სამშენებლო დოკუმენტაციის შესაბამისად.

7. ზიანის საფრთხის აღკვეთა

7.1. „შემსრულებელი“ მიიღებს ყოველგვარ ზომებს რათა უზრუნველყოს არსებული ობიექტების, ახლომდებარე წყალგაყვანილობის, ელექტროენერგიის ქსელების, კვანძებისა და სხვა კომუნიკაციების ეფექტური დაცვა და მათთვის ზიანის მიყენების საფრთხის აღკვეთა.

8. მიღებულ სამუშაოთა ხარისხის გარანტია

8.1. ობიექტზე განხორციელებული ყველა სამუშაოს ხარისხი სამშენებლო სამუშაოები, ასევე გამოყენებული მასალები და კონსტრუქციული ნაწილები უნდა შეესაბამებოდეს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულსა და საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეთა შეთანხმებით სამუშაოთა მიღება-წაბარების საბოლოო აქტის ხელმოწერამდე უნდა ჩატარდეს სათანადო საექსპერტო კვლევა და მომზადდეს დასკვნა, რის შემდეგაც მხარეები ხელს მოაწერენ მიღება-წაბარების აქტს სამუშაოთა ვარგისად აღიარების დასტურად.

9.2. „ღამეკვეთი“-ს ეკისრება პასუხისმგებლობა დროულად აუნაზღაუროს „შემსრულებელი“-ს შესრულებული სამუშაოების საფასური.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ხელშეკრულებით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალის გარემოების (მაგ.: ხაომაზი მოქმედებები, სტიქიური უბედურებები, ხანძარი, წყალდიდობა და ა.შ.) შედეგებით.
- 10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 10.1 მუხლში გათვალისწინებულ დაუძლეველ ძალას მიეკუთვნება ასევე ისეთი მოვლენები როგორიცაა სახელმწიფო ორგანოების (მათ შორის სასამართლოს, ზედამხედველობის, ინსპექციების და ა.შ. სამსახურების) მიერ გამოცემული აქტი, მორატორიუმი, ან სხვაგვარი გადაწყვეტილება რაც ობიექტზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარებას შეუშლის ხელს.
- 10.3. მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის თარიღიდან, და სანამ დამკვეთი არ უპასუხებს გააგრძელოს სამუშაოების წარმოება.
- 10.4. დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

11. კონფიდენციალურობა

- 11.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების პირობები კონფიდენციალური ხასიათისაა და იღებენ ვალდებულებას არ გაავრცელონ ისინი, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი განმარტება დაფუძნებული იქნება ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ პირობა კანონიერ მოთხოვნებზე.
- 11.2. ხელშეკრულების პირობების გახმაურებად არ მიიჩნევა პირობების ნაწილის გაცნობა სუბკონტრაქტორების, ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის, საგადასახადო ორგანოების, არქიტექტურული კონსტრუქციის, კონტრაქტში მითითებულ სადაზღვევო კომპანიის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანოებისათვის.

12. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა სადაო საკითხი გადაწყდება ურთიერთმოდლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

13. სხვა პირობები

- 14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.
- 14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.
- 14.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლებებზე და წარმომადგენლებზე.
- 14.4. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ყველა დანარჩენი შემთხვევაში, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 14.6. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.
- 14.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხერეებს.


14. ხელშეკრულების დანართი

- 15.1. ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 15.2. ხელშეკრულება და მისი დანართი წარმოადგენენ ურთიერთშემავსებელ დოკუმენტებს.
- 15.3. ხელშეკრულების დანართების ჩამონათვალი:
 დანართი №1 ხარჯთაღრიცხვა.
 დანართი №2 მშენებლობის პროექტი.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

“დამკვეთი”
 შპს “ემ-სი გრუპი”

“შემსრულებელი”
 შპს “ოვალი”




საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საგარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ [REDACTED]

201 8 წლის „ 08 “ „ ოქტომბერი “
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „მედეა“-ს [REDACTED]

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 08 ოქტომბრის
№1443/ს ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. არაგვის მიმდებარე ტერიტორიაზე,
„არაგვის“ ვულკანური ლორღის საბაღო;
K-38-88-B-a ნომენკლატურის ტოპორუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მინერალური ზარტოპი - 15 755 კვ. მეტრი.


მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

„არაგვას“ ვულკანური ლერწმის ჯამური მოცულობა - 306 440 კუბური მეტრი;

სალიცენზიო პირობები: _____

ბანსაგზერულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის
08 ოქტომბრის №1443/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი, 08.10.2018 დან 09.10.2028 მდე



მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ახალქალაქი

10.05.2025 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ „მყიდველი“, შპს „ოვალი“-ს დირექტორი [REDACTED] სახით და მეორეს მხრივ „გამყიდველი“, შპს „მეეკი“-ს დირექტორი [REDACTED] ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2025 წლის 12 აპრილის ხელშეკრულების ფარგლებში „გამყიდველმა“ მიყიდა შპს „ოვალი“-ს, ხოლო შპს „ოვალი“-მ იყიდა შპს „მეეკი“-სგან ღორღის წედლეული 1000 კუბური მეტრი ოდენობით.



მიწოდების ხელშეკრულება

ქ. ახალქალაქი

12 აპრილი 2025 წ.

ერთის მხრივ შპს „მევი“ [REDACTED] წარმოდგენილი დირექტორის [REDACTED] სახით, შემდგომში წოდებული როგორც „გამყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „ოვალი“ [REDACTED] წარმოდგენილი მისი დირექტორის, [REDACTED] სახით, შემდგომში წოდებული როგორც „მყიდველი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „გამყიდველი“ ყიდის, ხოლო „მყიდველი“ ყიდულობს ღორღის ნედლეულს 2500 კუბური მეტრი ოდენობით. ლიცენზია # 10000261

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 გამყიდველი ვალდებულია:

2.1.1 გადასცეს „მყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

გამყიდველი უფლებამოსილია:

2.1.2 ვადაზე ადრე მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ „მყიდველის“ მხრიდან ადგილი აქვს ხელშეკრულების პირობების სისტემატიურ დარღვევას. აღნიშნული უფლებით სარგებლობამდე „გამყიდველი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე 10 კალენდარული დღით ადრე აცნობოს „მყიდველს“

2.2 მყიდველი ვალდებულია:

2.2.1 მიიღოს პროდუქცია და მასთან დაკავშირებული ყველა საბუთი, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით

2.2.2 გადაუხადოს „გამყიდველს“ ხელშეკრულების საგნის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით და დგენილი წესითა და ოდენობით.

2.2.3 დაიცვას პროდუქციის შენახვის ყველა შესაბამისი პირობა რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

2.3 მყიდველი უფლებამოსილია:

2.3.1 მოითხოვოს შეთანხმებულ ვადაში პროდუქციის მიწოდება და ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება და გადახდის პირობები

3.1.1 ხელშეკრულები საგნის ღირებულება განისაზღვრება ყოველი კონკრეტული მიწოდებისათვის გამოწერილი ან ელექტრონულად მიწოდებული სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.1.2 ხელშეკრულების საგნის ღირებულება შესაძლებელია გადახდილ იქნეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

3.1.3 უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში „მყიდველი“ „გამყიდველის“ კუთვნილ თანხებს რიცხავს მხარეთა რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4.2 იმ შემთხვევაში თუ „მყიდველი“ დადგენილი წესით არ განახორციელებს სრულ და საბოლოო ანგარიშსწორებას, „გამყიდველს“ წარმოეშობა უფლება ძირითადი ვალდებულების გარდა მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში პირგასამტეხლო ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული არ არის.

4.3 პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს გადასახდელი თანხის 0.2%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.4 „გამყიდველი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბრუნებს პროდუქტს თუ შესაძლებელია მისი შემდგომი რეალიზაცია, რაც გულისხმობს ვარგისიანობის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. ამავდროულად „გამყიდველი“ განსაზღვრავს საკმარისია თუ არა ვადა, რომელიც დარჩენილია ვარგისიანობის ამოწურვამდე, პროდუქციის შემდგომი რეალიზაციისთვის. თუ ვადა არაკმაყოფილებს მოთხოვნებს „გამყიდველი“ არდაიბრუნებს პროდუქციას.

4.5 „გამყიდველი“ არ არის პასუხისმგებელი პროდუქციის ვარგისიანობაზე, იმ შემთხვევაში თუ პროდუქციის გაფუჭება გამოწვეულია „მყიდველის“ ბრალით, კანონითა და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად.

5. დავის გადაწყვეტის წესი

- 5.1** მხარეები მიმართავენ ყველა ღონეს, რათა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებისას წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყვეტილი ქნას მოლაპარაკების გზით.
- 5.2** მხარეთა პრეტენზიები განიხილება მათი წერილობითი ფორმით მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 6.1** ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელმოწერის დღიდან ერთი წლის განმავლობაში. ხელშეკრულების ხელმოწერის დღეა ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღი. ხელშეკრულება ითვლება ავტომატურად გაგრძელებულად ყოველი მომდევნო ერთი წლის ვადით თუ რომელიმე მხარე 30 დღით ადრე დადგენილი ერთ წლიანი ვადის ამოწურვამდე წერილობითი ფორმით არ შეატყობინებს მეორე მხარეს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის სურვილის შესახებ.
- 6.2** მხარეებს უფლება აქვთ თავიანთი ინიციატივით ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება. მხარის ინიციატივით შეწყვეტა ხდება მეორე მხარისათვის შეწყვეტის თაობაზე წინასწარი შეტყობინებით, შეწყვეტის თარიღამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.
- 6.3** დაინტერესებული მხარის განცხადებით ხელშეკრულების მოქმედება შესაძლებელია შეჩერებულ იქნას არაუმეტეს სამი თვის ვადით. ხელშეკრულების შეჩერების საფუძველს წარმოადგენს დაინტერესებული მხარის წერილობითი შეტყობინება, რომელიც შეიცავს შეჩერების პირობებს და სახელშეკრულებო ურთიერთობის განახლების წესებს.

7. ფორს-მაჟორი

- 7.1** მხარეები არ აგებენ პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე და არასათანადო შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (ფორს-მაჟორული გარემოებები) და რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეებზე. კერძოდ, სტიქიური უბედურებები, ავარიები, ხანძრები, მასობრივი არეულობები, რევოლუციები, სამხედრო მოქმედებები, კარანტინის გამოცხადება ან სხვა სახის უბედურებები, რომლებიც ხდება იმ რაიონებში, რომლებიც ოფიციალურად ითვლებიან ზემოხსენებული

მოვლენების გაფორმის ქვეშ და რეალურ გაფორმას ახდენენ მხარეთა მხრიდან ვალდებულებების შესრულებაზე.

8. დამატებითი პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ფორმდება წერილობით, დამატებითი შეთანხმების სახით.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და დანართი მის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და აქეთ თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა რეკვიზიტები

